

შპს სთოუნ ეიჯ დეველოპმენტ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები	5
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
6. მარაგები	10
7. გაცემული ავანსები	10
8. სავაჭრო ვამდებულებები.....	110
9. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	Error! Bookmark not defined.
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
12. ხელფასები და სხვა სარგებელი	13
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	13
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	2024	2023	2022
ფული და ფულის ექვივალენტები	5	45970	47416	2487
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		82049	43397	326793
გაცემული ავანსები	7	8580	18451	8840
მარაგები	6	81171	119454	42118
სულ მოკლევადიანი აქტივები		217770	228718	380238
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	945437	987208	1099157
ინვესტიციები სხვა საწარმოში		0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		945437	987208	1099157
სულ აქტივები		1163207	1215926	1479395
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	31441	16981	151547
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		75514	43832	351648
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		106955	60813	503195
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		121200	240000	320000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		121200	240000	320000
სულ ვალდებულებები		228155	300813	823195
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		826920	893055	893055
გაუნაწილებელი მოგება		108132	22058	-236855
სულ საკუთარი კაპიტალი		935052	915113	656200
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1163207	1215926	1479395

დირექტორი



ილია ჭიაურელი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	1683871	1779907
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(395887)	(438154)
საერთო მოგება		1287984	1341753
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(438,016)	(510371)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(520903)	(440057)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9	(71555)	(75697)
სხვა შემოსავლები		0	0
იჯარის ხარჯი		(15000)	(12500)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		242510	303128
საპროცენტო ხარჯი		(30807)	(44215)
მოგება საკურსო სხვაობიდან			
ზარალი საკურსო სხვაობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(211703)	(258913)
მოგების გადასახადი		17107	0
წმინდა მოგება		(194596)	(258913)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	893055	-236855	656200
კაპიტალის გაზრდა	0	-	0
წმინდა მოგება	-	(258913)	(258913)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	893055	22058	915113
კაპიტალის შემცირება	66135	-	0
წმინდა მოგება	-	(194596)	(194596)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	826920	108132	935052

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სთოუნ ეიჯ დეველოპმენტ გრუპი“ დაფუძნდა 2020 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, საგარეჯოს რაიონი, სოფელი გიორგიწმინდა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 438117994. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: ილია ჭიაურელი, 36001001181 - 49%

დავით დემინაშვილი, 20001008378 – 51%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება - რეალიზაცია, კომპანია ფლობს ლიცენზიისგან განთავისუფლებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქართველოს მთავრობის განკარგულებას, N996. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - ილია ჭიაურელი, 36001001181, ერთპიროვნული და გიორგი ოთარაშვილი 20001002461, ერთპიროვნული.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის

თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც

გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
კომპიუტერული ტექნიკა	5
ავტო ტექნიკა	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები

გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრები	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა სალაროში	323	240
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45647	47176
სულ	45970	47416

6. მარაგები

მარაგები	31-12-24	31-12-23
ნედლეული	19867	62523
მზა პროდუქცია	59010	55886
სხვა მოკლევადიანი მარაგები	2294	1045
სულ	81171	119454

7. გაცემული ავანსები

ცხრილებში წარმოდგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გაცემული ავანსების ჩაშლა:

გაცემული ავანსები	31-12-24	31-12-23
რეზიდენტი საწარმო	8,580	18451
არარეზიდენტი	0	0
სულ	8,580	18451

8. სავაჭრო ვალდებულებები

ცხრილებში წარმოდგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო ვალდებულებების ჩაშლა:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
რეზიდენტი	31441	16981

არარეზიდენტი	0	0
სულ სავაჭრო ვალდებულებები	31441	16981

9. ძირითადი საშუალებები

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ნარჩენი ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ნარჩენი ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთი	80626		80626
შენობა	371192		371192
მანქანა დანადგარები	639983	4800	526627
ოფისის აღჭურვილობა	6404	905	5725
ავეჯი და სხვა ინვენტარი	952	2449	3038
სულ	1099157	8154	987208

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა დანადგარები	-	73749	
ოფისის აღჭურვილობა		1585	
ავეჯი და სხვა ინვენტარი		363	
სულ		75697	

2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ნარჩენი ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ნარჩენი ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთი	80626		80626
შენობა	371192		371192
მანქანა დანადგარები	526627	29929	486479
ოფისის აღჭურვილობა	5725	728	4795
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3038	102	2344
სულ	987208	30759	945436

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთი		0	
შენობა		0	
მანქანა დანადგარები	-	69123	
ოფისის აღჭურვილობა		1657	
ავეჯი და სხვა ინვენტარი		775	
სულ		71555	

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვიშა ღორღოვანი კარიერების დამუშავება, რომლის რეალიზაციაც ხდება საქართველოში მოღვაწე კომპანიებსა თუ ფიზიკურ პირებზე. 2024 და 2023 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2024	2023
საერთო მოგების გაანგარიშება		
შემოსავალი	1,683,871	1,779,907
შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან	1,683,871	1,779,907
თვითღირებულება	(395,887)	(438,154)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(395,887)	(438,154)
საერთო მოგება	1,287,984	1,341,753

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
სოციალური დანარიცხები	8652	7982
ქონების გადასახადი	9816	10689
საბანკო ხარჯები	1124	1106
ელ.ენერგიის ხარჯი	54448	60787
სატრანსპორტო მომსახურება	27411	17094
ექსკავატორის ხარჯი	8814	6412
მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების საფასური	0	100324
მომსახურება	86411	148193

შპს სთოუნ ეიჯ დეველოპმენტ ჯგუფი

13

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ლიცენზია	64304	0
დაზღვევა	700	560
ჯარიმა	1165	1229
საქონლის ჩამოწერის საერთო ხარჯი	175071	155007
მოსაკრებელი	100	988
სულ	438,016	510,371

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
მენეჯმენტის ხელფასი	161158	114030
სახელფასო ხარჯი	359745	326027
სულ	520903	440057

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 და 2023 წელს მენეჯმენტზე დივიდენდი არ გაცემულა.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.